



ენერჯეტიკის  
სასწავლო ცენტრი

**FRIEDRICH  
EBERT**  
  
**STIFTUNG**

ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და  
წყალმომარაგების სექტორში რეგულირების  
საკითხებზე ინფორმირებულობის დონის და  
საჭიროებათა კვლევის შედეგები

**THE RESEARCH RESULTS ON THE LEVEL OF  
AWARENESS OF REGULATORY ISSUES IN THE  
ELECTRICITY, NATURAL GAS AND WATER SUPPLY  
SECTORS AND NEEDS ASSESSMENT**



თბილისი 2022 TBILISI



ენერგეტიკის  
სასწავლო ცენტრი

**FRIEDRICH  
EBERT**  
  
**STIFTUNG**

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და  
წყალმომარაგების სექტორში რეგულირების  
საკითხებზე ინფორმირებულობის დონის და  
საჭიროებათა კვლევის შედეგები

---

**THE RESEARCH RESULTS ON THE LEVEL OF  
AWARENESS OF REGULATORY ISSUES IN THE  
ELECTRICITY, NATURAL GAS AND WATER SUPPLY  
SECTORS AND NEEDS ASSESSMENT**



თბილისი 2022 TBILISI

## ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საკითხებზე ინფორმირებულობის დონის და საჭიროებათა კვლევის შედეგები

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში რეგულირების საკითხებზე ინფორმირებულობის დონის დადგენა და საჭიროებათა კვლევის განხორციელების“ ფარგლებში. კვლევა განხორციელდა 2022 წელს და ძირითადად მოიცავს მიმდინარე წლის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს.

პროექტი განხორციელდა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერითა და პარტნიორობით.

ავტორის/ავტორების მიერ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფრიდრიხ ებერტის ფონდი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის შინაარსზე.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

### დოკუმენტზე მუშაობდნენ:

ნუგზარ ბერიძე, თემურ თორდინავა, ელენორა ლაგვილავა  
მარიამ იოსელიანი, შოთა კენკაძე, ქეთევან ბერიკაშვილი  
სალომე ჯანელიძე, რევაზ გერაძე

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

© „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრი“

## The Research Results on the Level of Awareness of Regulatory Issues in the Electricity, Natural Gas and Water Supply Sectors and Needs Assessment

This publication was prepared within the framework of the project "Determining the level of awareness on the issues of regulation in the electricity, natural gas and water supply sectors and carrying out needs assessment". The study was conducted in 2022 and mainly includes data available as of the current year.

The project was implemented by the Elizbar Eristavi Energy Training Center operating under the Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission, with the support and partnership of the Friedrich-Ebert-Stiftung.

The views expressed in the document by the author(s) do not reflect the position of the Friedrich-Ebert-Stiftung. Accordingly, the Friedrich-Ebert-Stiftung is not responsible for the content of this document.

Commercial use of all media published by the Friedrich-Ebert-Stiftung is not permitted without the written consent of the FES

### The document was prepared by:

Nugzar Beridze, Temur Tordinava, Eleonora Lagvilava,  
Mariam Ioseliani, Shota Kenkadze, Ketevan Berikashvili,  
Salome Janelidze, Revaz Geradze

© Friedrich-Ebert-Stiftung

© Elizbar Eristavi Energy Training Center

გამომცემლობა „**უნივერსალი**“  
Publishing House **“UNIVERSAL”**

ISBN 978-9941-33-382-8

# სარჩევი

---

1.	პროექტის მნიშვნელობა და კვლევის შედეგი .....	7
2.	ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი .....	7
3.	ფრიდრიხ ებერტის ფონდი .....	8
4.	პროექტის შესახებ .....	8
5.	კვლევის მეთოდოლოგია .....	9
6.	ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები .....	9
7.	რაოდენობრივი კვლევის შედეგები .....	11
8.	შეფასებითი ანალიზი .....	13
9.	რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები .....	24
10.	თვისებრივი კვლევის შედეგები .....	25
11.	თვისებრივი კვლევის განხორციელების შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და ტენდენციები .....	26
12.	ძირითადი დასკვნები .....	29
13.	კვლევის შედეგების შესაბამისად განსახორციელებელი აქტივობების სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა .....	30

# CONTENT

---

<b>1.</b>	THE SIGNIFICANCE OF THE PROJECT AND THE RESULT OF THE RESEARCH .....	35
<b>2.</b>	ELIZBAR ERISTAVI ENERGY TRAINING CENTER .....	35
<b>3.</b>	FRIEDRICH-EBERT-STIFTUNG .....	36
<b>4.</b>	ABOUT THE PROJECT .....	36
<b>5.</b>	RESEARCH METHODOLOGY .....	36
<b>6.</b>	LEGAL BASIS FOR REGULATING ELECTRICITY, NATURAL GAS AND WATER SUPPLY SECTORS .....	37
<b>7.</b>	QUANTITATIVE RESEARCH RESULTS .....	38
<b>8.</b>	COMPARATIVE ANALYSIS .....	40
<b>9.</b>	KEY TRENDS IDENTIFIED AS A RESULT OF QUANTITATIVE RESEARCH .....	50
<b>10.</b>	RESULTS OF QUALITATIVE RESEARCH .....	51
<b>11.</b>	KEY FINDINGS AND TRENDS IDENTIFIED AS A RESULT OF CONDUCTING QUALITATIVE RESEARCH .....	52
<b>12.</b>	MAIN CONCLUSIONS .....	54
<b>13.</b>	RECOMMENDED ACTION PLAN OF ACTIVITIES TO BE IMPLEMENTED PER THE RESULTS OF THE RESEARCH .....	56



# 1

## პროექტის მნიშვნელობა და კვლევის შედეგი

პროექტი „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში რეგულირების საკითხებზე ინფორმირებულობის დონის დადგენა და საჭიროებათა კვლევის განხორციელება“ არის აქტუალური, თავისი შედეგებით მნიშვნელოვანი, სექტორისთვის აუცილებელი და შედეგზე ორიენტირებული პროექტი.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა წარმოადგენს მოცულობითი და კომპლექსური ხასიათის ნაშრომს. კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა, რამდენად არიან სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლები ინფორმირებულები ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებზე.

დადგინდა სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკური საჭიროებები. კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად დადგინდა, რა ღონისძიებები და აქტივობებია განსახორციელებელი (მათ შორის რეგიონების ტრილში) რეგულირების საკითხების მიმართულებით ინფორმირების გაზრდისა და სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკური საჭიროებების გადაჭრისათვის.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ძირითადი ტენდენციების, პრობლემების, აქტუალური საკითხებისა და საჭიროებების გამოკვეთის შესახებ, აგრეთვე აღნიშნულზე დაყრდნობით ინფორმირებულობის დონის გაზრდისა და სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების გადანყვეტის მექანიზმები.

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის გუნდი იმედოვნებს, რომ პროექტის „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში რეგულირების საკითხებზე ინფორმირებულობის დონის დადგენა და საჭიროებათა კვლევის განხორციელების“ შედეგები გზამკვლევი გახდება სექტორისთვის, მათ შორის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.

# 2

## ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი

ა(ა)იპ „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი“ დაფუძნდა 2022 წლის 4 თებერვალს. ცენტრის დამფუძნებელია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“).

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის მისიაა, აქტიურად იყოს ჩართული იმ პრიორიტეტულ საქმიანობებში, რომლებიც მიზნად ისახავს: ენერგეტიკის სექტორებში კვალიფიკაციის ამაღლებას, ქალთა ჩართულობის ზრდას, მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირების, ცნობიერებისა და ჩართულობის ამაღლებას, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კვლევებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, პოტენციური ინვესტორების სრულად ინფორმირების უზრუნველყოფას. ცენტრის სტრატეგია ეფუძნება გამოცდილებას, ცოდნასა და პროფესიულ მიდგომებს. ცენტრი ფოკუსირებულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით სხვადასხვა პროექტის განხორციელებით ეფექტიანი შედეგების მიღებაზე.

ცენტრმა დაარსებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში წარმატებით დააორგანიზა და განახორციელა 3 სხვადასხვა სასწავლო კურსი, ასევე უზრუნველყო პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა. ამჟამად პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ცენტრში მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტი. ცენტრს ხელმძღვანელობენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებში.

### 3

## ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES) არაკომერციული, გერმანული პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ეყრდნობა სოციალური დემოკრატიის ღირებულებებს. ფონდი დაარსდა 1925 წელს და ატარებს გერმანიის დემოკრატიულად არჩეული პირველი პრეზიდენტის, ფრიდრიხ ებერტის, სახელს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის სათავე ოფისები მდებარეობს ქ. ბერლინსა და ქ. ბონში. ფონდის ფილიალები წარმოდგენილია 90-ზე მეტ ქვეყანაში და საქმიანობას ახორციელებს 100-ზე მეტ ქვეყანაში. ქ. თბილისში მდებარე საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა კოორდინაციას უწევს ფონდის საქმიანობას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიზანია დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობა პოლიტიკური დიალოგის, განათლებისა და კვლევის გზით.

### 4

## პროექტის შესახებ

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრმა ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით განახორციელა პროექტი, სახელწოდებით „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში რეგულირების საკითხებზე ინფორმირებულობის დონის დადგენა და საჭიროებათა კვლევის განხორციელება“ (შემდგომში „პროექტი“). პროექტის ფარგლებში კვლევა განხორციელდა ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმსა და მცხეთის მუნიციპალიტეტში.

პროექტის მიზანია:

- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში არსებულ საჭიროებათა კვლევა რეგულირების კუთხით ინფორმირებულობის დონის, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკური საჭიროებების გამოკვეთის, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის გაღრმავებისთვის ეფექტიანი მექანიზმების გამოსავლენად;
- კვლევის შედეგად გამოკვეთილი მიგნებებისა და საჭიროებების შესაბამისად პროექტის შემდგომი ფაზისთვის განსახორციელებელი აქტივობებისთვის სარეკომენდაციო გეგმის შემუშავება.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები. კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ: ენერგეტიკული და წყალმომარაგების საწარმოების თანამშრომლები, კომისიის ახალი თანამშრომლები, ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და აკადემიური წრის წარმომადგენლები, ახალგაზრდა მეცნიერები, მედიის წარმომადგენლები, ინვესტორები, დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფი, თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და რეგულირების საკითხებით.



## 5 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია წარმოდგენილია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით. კვლევის ინსტრუმენტებად და მექანიზმებად გამოყენებულია: სამაგიდო კვლევა, გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები, შედარებითი ანალიზი. რაოდენობრივი მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულ იქნა ონლაინ-გამოკითხვის ფორმა Google Forms. კვლევის თვისებრივი კომპონენტი განხორციელდა ფოკუს-ჯგუფებისა და პირისპირ ინტერვიუების ჩატარებით. რაოდენობრივი გამოკითხვებისა და თვისებრივი მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება მოხდა სტატისტიკურ პროგრამებში. რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 350-მდე რესპონდენტმა.

### რესპონდენტთა პროცენტული განაწილება:

გამოკითხულთა 65% არიან ლიცენზიანტი კომპანიების თანამშრომლები. სხვა მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფები წარმოდგენილი არიან შემდეგნაირად: თვითმმართველობების თანამშრომლები — დაახლოებით 10%; სემეკის ახალბედა თანამშრომლები — დაახლოებით 8%; ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და აკადემიური წრის წარმომადგენლები (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები) — 5%; დანარჩენი რესპონდენტები (მედიის წარმომადგენლები, ინვესტორები/ბიზნესის წარმომადგენლები, გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ან დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები) — 12%.

## 6 ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები

გაერომ 193 ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან, ერთად მდგრადი განვითარებისთვის 17 მიზანი დაისახა. მე-6 და მე-7 მიზნების შესაბამისად, 2030 წლისთვის საქართველოში: ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უსაფრთხო სასმელი წყალი, დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები და უფრო ხელმისაწვდომი უნდა იყოს საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურება.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა. სამართლიანი მიდგომის პრინციპის დაცვით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მომსახურების ხარისხი და მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობების რეგულირება.

2014 წლის 27 ივნისს, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ხელი მოეწერა „ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომლის რატიფიცირება 2014 წლის 18 ივლისს მოხდა.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა განსაზღვრულ ვადებში, ეტაპობრივად დაეახლოებინა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან.

2016 წლის 14 ოქტომბერს ხელი მოეწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმს, რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 21 აპრილს მოახდინა. შედეგად, 2017 წლის 1 ივლისიდან საქართველო ოფიციალურად გახდა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ხელშემკვერელი მხარე.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერითა და ენერჯეტიკულ გაერთიანებაში განვრიანებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, განახორციელოს რეფორმები ენერჯეტიკის სექტორში და საფუძველი ჩაუყაროს ევროპულ ენერჯეტიკულ ბაზართან დაახლოებას. ევროპული ლიბერალური ენერჯეტიკული კანონმდებლობის მთავარი მიზანია საბითუმო და საცალო ბაზრებზე ვაჭრობის ხელშეწყობა და ამისთვის მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფა (ენერჯეტიკის კომპანიების გადაცემისა და დისტრიბუციის საქმიანობების გამოყოფა (Unbundling) გენერაციისა და მიწოდების საქმიანობებისგან). საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერჯეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მიერთების ოქმზე ხელმოწერის შედეგად, საქართველომ საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება აიღო, რაც ენერჯეტიკის სექტორში მნიშვნელოვან რეფორმებსაც ითვალისწინებს.

მესამე ენერჯეტიკული პაკეტი მოიცავს ორ დირექტივასა და სამ რეგულაციას: 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერჯეტიკის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 714/2009 რეგულაცია ელექტროენერჯეტიკით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსელზე დაშვების შესახებ; 715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების შესახებ; 713/2009 რეგულაცია ენერჯეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) დაფუძნების შესახებ.

პირველი და მეორე ენერჯეტიკული პაკეტებისაგან განსხვავებით, მესამე ენერჯეტიკული პაკეტი ძირითად ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა დაცვაზე, ენერჯეტიკულ ბაზრებზე კონკურენციის გაზრდასა და დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბებაზე.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა ევროკავშირის კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. დირექტივებით დადგენილია, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს ფუნქციურად, ფინანსურად და სამართლებრივად დამოუკიდებელი უწყება. ფუნქციური დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციისა თუ თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებელი და არ უნდა იღებდეს არანაირ მითითებებს. გარდა ამისა, მის პერსონალსა და მენეჯმენტზე პასუხისმგებელ პირებს არ უნდა გააჩნდეთ ნებისმიერი სახის საბაზრო ინტერესი. დამატებით, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს თანამშრომლები და მართვის უფლების მქონე პირები არ უნდა იღებდნენ პირდაპირ მითითებებს. მითითება ამ შემთხვევაში გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

რეგულირების მიზანია რეგულირებადი სანარმოებისა და მომხმარებლების ინტერესების დაცვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით. ამ მიზნების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, მარეგულირებელი იყოს დამოუკიდებელი, ძლიერი და მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ორგანო.

ენერჯეტიკის სექტორის რეგულირებას საქართველოში ახორციელებს კომისია, რაც შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიების გაცემას, ტარიფების დადგენას, ბაზრების მონიტორინგს, სადავო საკითხების გადაწყვეტასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს.

ეფექტური მარეგულირებლის არსებობა გულისხმობს როგორც პოლიტიკურ და ფინანსურ დამოუკიდებლობას, ასევე რეგულირებისათვის საჭირო კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების ქონას.

გარდა ევროკავშირის დირექტივებისა, ენერჯეტიკის სფეროს რეგულირების ძირითადი ასპექტები მოცემულია საქართველოს კანონმდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ერთიანი ენერჯეტიკული სისტემა, ხოლო 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრობის კანდიდატებს.


ენერჯეტიკის სფეროს რეგულირების ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოს ქმნის საქართველოს კანონმდებლობაში ევროპის კავშირის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გასათვალისწინებლად და ასა-მოქმედებლად.

# 7

## რაოდენობრივი კვლევის შედეგები

პროექტის ფარგლებში გამოკითხულ იქნა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის რესპონდენტები თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან და მცხეთიდან. რაოდენობრივი კომპონენტის მთავარ მეთოდს წარმოადგენდა გამოკითხვა, რომლის ძირითადი ინსტრუმენტი იყო სტანდარტიზებული კითხვარი. რაოდენობრივი მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულ იქნა ონლაინ-გამოკითხვის ფორმა Google Forms.

ჯამში გამოკითხა 240 რესპონდენტი. გენდერული რეპრეზენტაციის კუთხით ქალები და მამაკაცები თითქმის თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი. სამიზნე აუდიტორიის 83% არის 30 წლის ზემოთ ასაკობრივი კატეგორიის. გამოკითხვის მონაწილეები წარმოადგენენ შემდეგ **ასაკობრივ ჯგუფებს**:




გამოკითხულთა თითქმის 97% უმაღლესი განათლების მქონე პირები არიან, ხოლო მათი ძირითადი **სპეციალობები** გადანაწილებულია შემდეგნაირად:




რესპონდენტები წარმოადგენენ ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების სექტორს (ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების კომპანიები, ექსპერტები, კომისიის თანამშრომლები), თვითმმართველობებს, უმაღლეს სასწავლებლებს, გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს და ა.შ. გამოკითხულთა 65% არიან ლიცენზიანტი კომპანიების თანამშრომლები; სხვა მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფები წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად: თვითმმართველობების თანამშრომლები — დაახლოებით 10%; კომისიაში ახლად დასაქმებული თანამშრომლები — დაახლოებით 8%; ენერჯეტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და აკადემიური წრის წარმომადგენლები (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები) — 5%; დანარჩენი

რესპონდენტები (მედიის წარმომადგენლები, ინვესტორები/ბიზნესის წარმომადგენლები, გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ან დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები) — 12%.

სექტორში მუშაობის სტაჟის მიხედვით, ოთხ ქალაქში გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარს მინიმუმ ათწლიანი გამოცდილება აქვს:



თავიანთ ორგანიზაციებში დაკავებული პოზიციების შესაბამისად, შესაძლებელია რესპონდენტების დაყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ტოპ-მენეჯერული, საშუალო რგოლის მენეჯერი და არამენეჯერული. გამოკითხულთა პოზიციები განაწილებულია შემდეგნაირად:




# 8 შედეგები ანალიზი


ოთხი ქალაქიდან გამოკითხული რესპონდენტებისგან მიღებული შედეგების მიხედვით რამდენიმე საკვანძო თემა განისაზღვრა:

## 1. კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობა

კომისიის საქმიანობას იცნობს რესპონდენტთა 96%, რაც შეეხება კომისიის მისიასა და სტრატეგიას, გამოკითხულთა ინფორმირებულობის დონე არის შემდეგნაირი (5-ქულიანი სკალის მიხედვით, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 5 — ყველაზე მაღალი):




კითხვაზე, თუ რა საშუალებებიდან იღებენ რესპონდენტები ინფორმაციას კომისიის საქმიანობის შესახებ, პასუხები ინფორმაციის ძირითადი წყაროების მიხედვით გადანაწილდა შემდეგი პროცენტულობით (გამოკითხულებს ერთდროულად რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ):




კვლევაში მონაწილე რესპონდენტები კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ სოციალური ქსელებიდან, კომისიის ვებგვერდიდან და მასმედიიდან, გაცილებით ნაკლებად — საჯარო შეხვედრებიდან და სარეკლამო რგოლებიდან. ცალკეული ქალაქების მიხედვით, ძირითადი საინფორმაციო საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც რესპონდენტები ეცნობიან კომისიის საქმიანობას, არის შემდეგი:


დიაგრამა #6: **თბილისი, ინფორმაციის ძირითადი წყაროები**




დიაგრამა #7: **ბათუმი, ინფორმაციის ძირითადი წყაროები**



დიაგრამა #8: **ქუთაისი, ინფორმაციის ძირითადი წყაროები**




დიაგრამა #9: მცხეთა, ინფორმაციის ძირითადი წყაროები




**ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის** (კომისიის დადგენილებები და გადანყვეტილებები) ცოდნის თვალსაზრისით, კომისიის მარეგულირებელი აქტების შესახებ ინფორმირებულობის დონე ძირითადად გამოირჩევა საშუალო მაჩვენებლებით (5-ქულიანი სკალის მიხედვით, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 5 — ყველაზე მაღალი) და გამოიყურება შემდეგნაირად:

სკალა #2: ინფორმირებულობის დონე კომისიის მარეგულირებელი აქტების შესახებ



გამოკითხულთა დაახლოებით 80% ახალ ამბებს კომისიის ოფიციალურ ვებგვერდსა და/ან ფეისბუქ გვერდზე ეცნობა კვირაში ერთხელ მაინც. **სიახლეების გაცნობის სიხშირე** გამოკითხულ რესპონდენტებში:


დიაგრამა #10: სემეკის სიახლეების გაცნობის სიხშირე



## 2. კომისიისთვის მიმართვა


რესპონდენტების კომისიის შესახებ ინფორმირებულობის დონის დასადგენად დასმულ კითხვაზე, მიმართავენ თუ არა ისინი კომისიას, პროცენტულად პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: დიახ — 27%; არა — 73%. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს თანაფარდობა დამახასიათებელია ოთხივე სამიზნე ქალაქისთვის.

შეკითხვაზე, თუ რომელ უწყებას მიმართავენ რესპონდენტები ელექტროენერჯიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ხარისხის, უწყვეტობის, მომსახურების კომერციული ხარისხისა და უსაფრთხოების საკითხებზე, პასუხები გვაძლევს შემდეგ მონაცემებს:



გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თბილისსა და მცხეთაში რესპონდენტები უმეტესწილად მიმართავენ კომისიას — გამოკითხულთა 43% და 46%, შესაბამისად; ხოლო ქუთაისსა და ბათუმში თვითმმართველობის ორგანოებს — 41% და 35%, შესაბამისად.

კითხვაზე, თუ ვის მიმართავენ ზიანის ანაზღაურების, ელექტროტექნიკურ აქტივებთან დაკავშირებულ ქონებრივ დავებთან მიმართებით, რესპონდენტებმა შემდეგი პასუხები გასცეს:




აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ნახევარს ამ საკითხებზე არავისთვის არ მიუმართავს, თუმცა ჩამოთვლილი უწყებებიდან რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა მიმართა კომისიას.





### 3. კმაყოფილება კომისიისთვის მიმართვის შედეგით



რესპონდენტები, რომლებსაც მიუმართავთ კომისიისთვის, დამდგარ შედეგს შემდეგნაირად აფასებენ (5-ქულიანი სკალის მიხედვით, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 5 — ყველაზე მაღალი):



იმ რესპონდენტებს შორის, ვისაც მიუმართავთ კომისიისთვის, მიღებულ გამოცდილებას 43% აფასებს ძალიან კარგად, ხოლო 27% — კარგად.

ცალკეული ქალაქების მიხედვით, კომისიისთვის მიმართვით კმაყოფილების მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:





#### 4. მონაწილეობა კომისიის ღონისძიებებსა და აქტივობებში


კითხვას, მიუღიათ თუ არა რესპონდენტებს მონაწილეობა კომისიის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, პროექტებში ან პროგრამებში, გამოკითხულთა თითქმის 70% პასუხობს, რომ არ მიუღიათ. ამასთანავე, თბილისში ეს ციფრი ნაკლებია — დედაქალაქში გამოკითხულთა 40%-მდე მსგავსი გამოცდილება ჰქონია, ხოლო სხვა რეგიონულ ცენტრებში ასეთ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 5-15%-ს.

რაც შეეხება კითხვას, მიუღიათ თუ არა რესპონდენტებს მონაწილეობა კომისიის საჯარო სხდომებში სხვადასხვა საკითხის განხილვისას, მათ შორის ონლაინ ფორმატში, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: დიახ — 35%; არა - 65%. ამ შემთხვევაში, გაცემული დადებითი და უარყოფითი პასუხების თანაფარდობა უახლოვედ ნინა კითხვის მაჩვენებელს. ამ შემთხვევაშიც თბილისში მსგავს აქტივობებში რესპონდენტებს უფრო ხშირად მიუღიათ მონაწილეობა (45%) რეგიონებისგან განსხვავებით (10-20%).

#### 5. კომისიის ყოველწლიური ანგარიშებისა და ენერგეტიკული სექტორის სიახლეების გაცნობა

რესპონდენტების პასუხები კითხვაზე, ეცნობიან თუ არა და რამდენად ხშირად ეცნობიან ისინი კომისიის **ანგარიშებს**, შედეგები ასე გადანაწილდა:


დიაგრამა #13: კომისიის ყოველწლიური ანგარიშების გაცნობა



კვლევაში მონაწილეთა 27% ეცნობა კომისიის ანგარიშებს, ხოლო 44% — არასრულყოფილად.

იმ გამოკითხულ რესპონდენტთა პროცენტული გადანაწილება, რომლებიც ეცნობიან ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების სექტორებში სტატიებს, კვლევებს, სიახლეებს, არის შემდეგი:

დიაგრამა #14: ენერგეტიკული სექტორის სიახლეების გაცნობა



კიდევ ერთი კითხვა რესპონდენტთა ინფორმირებულობის შესახებ ეხებოდა რადიოგადაცემას ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით. გამოკითხულებმა ასე უპასუხეს ამ კითხვას: დიახ — 30%; არა — 70%. გადაცემის შესახებ ინფორმაცია უფრო მეტად ჰქონდათ რესპონდენტებს თბილისიდან და ქუთაისიდან — 39% და 22%, შესაბამისად.


## 6. კვალიფიკაციის ამაღლება

კვლევისთვის შემდეგი საინტერესო საკითხი იყო, მიუღიათ თუ არა რესპონდენტებს მონაწილეობა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში. პასუხები ასე განაწილდა: დიახ — 29%; არა — 71%.

ოთხივე ქალაქიდან გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას (95%) სურს, მეტი ინფორმაცია და კვალიფიკაცია მიიღოს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.

შეკითხვაზე, თუ რა სჭირდებათ გამოკითხულებს ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, რესპონდენტებმა გამოყვეს შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები შესაბამისი პროცენტული განაწილებით (გამოკითხულებს ერთდროულად რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ):

დიაგრამა #15: ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობები



გამოკითხულებს შორის ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველაზე პოპულარული ვარიანტი აღმოჩნდა სპეციალიზებული ტრენინგები. სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს შორის რესპონდენტებს ესახებათ კონფერენციებისა და საჯარო ლექციების მონაწილეობა.

## 7. რეგულირების საკითხები

კვლევის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა იყო იმის დადგენა, თუ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების რომელი საკითხებია რესპონდენტებისთვის მეტად პრიორიტეტული და საინტერესო (გამოკითხულებს ერთდროულად რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ). პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ცხრილი #1: ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხების პრიორიტეტების მიხედვით

1	რეგულირების ძირითადი პრინციპები და ამოცანები	38%
2	მომხმარებელთა უფლებების დაცვა, მომსახურების ხარისხის სტანდარტები, და მათი პრაქტიკაში გამოყენება	36%
3	ენერგეტიკული ბიზნესი	33%
4	სატარიფო რეგულირების პრინციპები და მეთოდოლოგიური საფუძვლები	29%
5	გამანაწილებელ ქსელზე მიერთება, სიმძლავრის გაზრდა საბითუმო ბაზრის სუბიექტად რეგისტრაცია - მიმწოდებლის არჩევა	28%
6	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორების მარეგულირებელი ჩარჩოები	26%
7	ენერგეტიკული ბაზრები და მათი ლიბერალიზაცია	26%
8	ელექტროენერჯის ბაზარი	25%
9	რეგულირებადი სექტორების ძირითადი პარამეტრები, ტიპოლოგია და სუბიექტები ბუნებრივი გაზის სექტორში	9%





10	ტარიფების მარეგულირებელი აუდიტი	23%
11	ბუნებრივი გაზის ბაზარი	20%
12	წყალმომარაგების სისტემების შეფასების კრიტერიუმები და სტრატეგიული დაგეგმარების პრინციპები	18%
13	მოგების ნორმა ტარიფში	18%
14	რეგულირებადი სექტორების ძირითადი პარამეტრები, ტიპოლოგია და სუბიექტები ელექტროენერგეტიკის სექტორში	14%
15	დაინტერესებული მხარეების როლი და ფუნქციები წყალმომარაგების სექტორში	14%
16	ნეტო აღრიცხვის სისტემაში მონაწილეობა	14%
17	საქმიანობის ავტორიზაცია	10%
18	ყველა ჩამოთვლილი საკითხი	24%

გარდა ჩამოთვლილი თემებისა, კვლევაში ჩართულ რესპონდენტებს შეეძლოთ მათთვის სასურველი საკითხების გამოყოფა, რომელთა შესახებაც მეტი ინფორმაციის მიღება სურდათ. დაფიქსირებული პასუხების სიხშირის მიხედვით, ეს საკითხები დაიყო 6 ძირითად ბლოკად:


- 1 — განახლებადი ენერჯია, მისი როლი და პერსპექტივები;
- 2 — ენერგეტიკული ბირჟა, მისი საქმიანობა და ოპერირების ნორმატიული დოკუმენტები;
- 3 — მომსახურების ხარისხის ამაღლება და უსაფრთხოება;
- 4 — წყლის რესურსების მართვა და ეფექტიანი რეგულირება;
- 5 — ფასების რეგულირება ბაზარზე;
- 6 — ენერგოდამოუკიდებლობა და ენერგოპოლიტიკის პრიორიტეტები.

## 8. კომუნალური მომსახურების შესახებ ინფორმაციის ამსახველი პროდუქტი \*303#

რესპონდენტებმა ასევე უპასუხეს რამდენიმე კითხვას \*303#-ის სერვისის შესახებ. პირველი კითხვა იყო, იცნობდნენ თუ არა ისინი ერთ პლატფორმაზე არსებულ, კომუნალური მომსახურების შესახებ ინფორმაციის ამსახველ პროდუქტს \*303#. ოთხივე ქალაქის რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ეს სერვისი ცნობილია: დიახ — 75%; არა — 25%.

მეორე კითხვა ეხებოდა საინფორმაციო საშუალებას, რომლისგანაც კვლევის მონაწილეებმა შეიტყვეს \*303#-ის სერვისის შესახებ, ყველაზე გავრცელებული პასუხები იყო შემდეგი:


დიაგრამა #16: რა საშუალებებით აქვთ რესპონდენტებს ინფორმაცია \*303#-ის სერვისის შესახებ



გამოკითხულთათვის \*303#-ის სერვისის შესახებ ინფორმაციის მთავარ წყაროებს წარმოადგენენ სოციალური ქსელები და კომისიის ვებგვერდი.


შეკითხვაზე, სარგებლობენ თუ არა ისინი \*303#-ის სერვისით, ოთხივე ქალაქის მაცხოვრებლებმა უპასუხეს თითქმის ერთნაირად: რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი სარგებლობს ამ მომსახურებით, ხოლო მეორე ნახევარი ან არ სარგებლობს, ან არ აქვს ინფორმაცია მოცემული სერვისის შესახებ:

დიაგრამა #17: \*303#-ის სერვისით სარგებლობა




\*303#-ის სერვისით მოსარგებლე რესპონდენტებს ასევე დაუსვეს შეკითხვა, თუ როგორ შეაფასებდნენ ისინი მიღებული მომსახურების ხარისხს. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი (52%) ძალიან კარგად აფასებს ამ სერვისს, 25% კი — კარგად. დანარჩენი პასუხები განაწილდა შემდეგნაირად (5-ქულიანი სკალის მიხედვით, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 5 — ყველაზე მაღალი):

დიაგრამა #18: \*303#-ის სერვისის შეფასება



კითხვაზე „\*303#-ის სერვისის პოპულარიზაციას როგორ შეაფასებდით?“ (კითხვარში დაკონკრეტებული არ არის, თუ რომელი სუბიექტის მხრიდან პოპულარიზაცია იგულისხმება. იგულისხმება ზოგადად პოპულარიზაციის საკითხი), ოთხივე ქალაქის შემთხვევაში აღნიშნული საკითხი აჩვენებს უფრო საშუალო მონაცემებს (5-ქულიანი სკალის მიხედვით, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 5 — ყველაზე მაღალი):


დიაგრამა #19: \*303#-ის სერვისის პოპულარიზაციის შეფასება



## 9. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი

ცალკე ბლოკის სახით გამოიყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თემატიკა. კვლევის მონაწილეებს დაუსვეს კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მათ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისთვის ჰიდრორესურსების ათვისება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. რესპონდენტთა პასუხები განაწილდა შემდეგნაირად (5-ქულიანი სკალის მიხედვით, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 5 — ყველაზე მაღალი):

დიაგრამა #20: ჰიდრორესურსების ათვისების მნიშვნელობა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის



## 9

## რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები

- კომისიის საქმიანობას იცნობს რესპონდენტთა 96%.
- რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა კომისიის მომსახურებითა და სერვისებით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი — 70%. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილეების დიდი ნაწილი ლიცენზიანტი კომპანიების წარმომადგენლები არიან (მოქალაქეების/მომხმარებლების კმაყოფილების დონის შესწავლა აღნიშნული კვლევის საგანს არ წარმოადგენდა).
- კვლევაში მონაწილე რესპონდენტები კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ სოციალური ქსელებიდან, კომისიის ვებგვერდიდან და მასმედიიდან. გაცილებით ნაკლებად — საჯარო შეხვედრებისა და სარეკლამო რგოლებიდან.
- ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ცოდნის თვალსაზრისით, კომისიის მარეგულირებელი აქტების შესახებ ინფორმირებულობის დონე ძირითადად საშუალო მაჩვენებლებით გამოირჩევა.
- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ხარისხის, უწყვეტობის, მომსახურების კომერციული ხარისხისა და უსაფრთხოების საკითხებზე თბილისსა და მცხეთაში რესპონდენტები უმეტესწილად მიმართავენ კომისიას — გამოკითხულთა 43% და 46%, შესაბამისად — ხოლო ქუთაისსა და ბათუმში თვითმმართველობის ორგანოებს — 41% და 35%, შესაბამისად.
- ზიანის ანაზღაურებისა და ელექტროტექნიკურ აქტივებთან დაკავშირებულ ქონებრივ დავებთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 50 პროცენტს ამ საკითხებზე არავისთვის არ მიუმართავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოთვლილი უწყებებიდან რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა, 23%-მა, მიმართა კომისიას, 16%-მა — თვითმმართველობას. რესპონდენტთა მხოლოდ 5%-მა მიმართა სასამართლოს, ხოლო დანარჩენმა 6%-მა — სხვა უწყებებს.
- კვლევაში მონაწილეთა 27% ეცნობა კომისიის წლიურ ანგარიშებს, ხოლო 44% — არასრულყოფილად.
- ოთხივე ქალაქიდან გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას, 95%-ს, სურს, მეტი ინფორმაცია და კვალიფიკაცია მიიღოს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.
- გამოკითხულებს შორის ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველაზე პოპულარული ვარიანტი აღმოჩნდა სპეციალიზებული ტრენინგები, სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს შორის რესპონდენტებს ესახებათ კონფერენციებისა და საჯარო ლექციების მოწყობა.
- რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი სარგებლობს \*303#-ის სერვისით, ხოლო მეორე ნახევარი ან არ სარგებლობს, ან არ აქვს ინფორმაცია მოცემული სერვისის შესახებ.



## 10

### თვისებრივი კვლევის შედეგები

თვისებრივი კვლევა განხორციელდა ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლებთან. აღნიშნული კვლევის ფარგლებში განხორციელდა 10-მდე შეხვედრა.

ფოკუს-ჯგუფის ფორმატში დისკუსია წარმართა წინასწარ შემუშავებული სადისკუსიო გეგმის მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა სამიზნე აუდიტორიის განწყობებისა და დამოკიდებულებების შესწავლა საკვლევი საკითხის მიმართ.

კვლევის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე ფოკუს-ჯგუფი. უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა მხრიდან გამოიკვეთა კვლევისადმი მაღალი ინტერესი და პროცესში ჩართულობა.

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებისა და კომისიის საქმიანობის შესახებ **ინფორმირებულობის დონის** დასადგენად, ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენლებისთვის შეთავაზებულ იქნა შემდეგი ძირითადი საკითხები:

- გაქვთ თუ არა ინფორმაცია კომისიის საქმიანობის შესახებ?
- გაქვთ თუ არა ინფორმაცია რეგულირებული კომპანიებისა და მათ მიერ შემოთავაზებული სერვისების შესახებ?
- რამდენად ხართ ინფორმირებული რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით (რამდენად კარგად იცნობთ ზოგადად სექტორის მარეგულირებელ ჩარჩოს, „საჯალო ბაზრის წესებს“, მიერთების პროცედურებს, მიწოდების ხელშეკრულების გაფორმების პირობებს, „მომსახურების ხარისხის წესებს“)?
- მოგვიყვით კომისიისთვის მიმართვის საკუთარ გამოცდილებაზე;
- მოგვიყვით სამივე სექტორში კომპანიების სერვისებით სარგებლობის საკუთარ გამოცდილებაზე;
- ზოგადად შეაფასეთ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების მომსახურება და შეადარეთ კომისიისა და რეგულირებული კომპანიებისთვის მიმართვის შედეგები;
- გაქვთ თუ არა ინფორმაცია ერთ პლატფორმაზე არსებული, კომუნალური მომსახურების შესახებ ინფორმაციის ამსახველი პროდუქტის, \*303#-ის, შესახებ?
- გაქვთ თუ არა \*303#-ის შესახებ ინფორმაცია და რა საშუალებებიდან?

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საკითხებზე **საჭიროებების დასადგენად** ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთათვის შეთავაზებულ იქნა შემდეგი საკითხები:

- გაქვთ თუ არა სურვილი, ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით მიიღოთ მეტი ინფორმაცია და კვალიფიკაცია?
- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის რა საჭიროება გაქვთ?
- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგების საჭიროების შემთხვევაში რას ისურვებდით?
- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით ხომ არ ისურვებდით ინგლისურენოვან ტრენინგებს?

- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით პრაქტიკული გამკვლევის შემუშავების შემთხვევაში რას ისურვებდით?
- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მიღებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას რა საკითხებში ისურვებდით?
- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით სახელმძღვანელოს შექმნასთან დაკავშირებით რა რეკომენდაციებს გაგვიწვევდით?
- რომელი უწყებისთვის მიგიმართავთ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ხარისხის, უწყვეტობის, მომსახურების კომერციული ხარისხისა და უსაფრთხოების საკითხებზე? გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება.
- რომელი უწყებისთვის მიგიმართავთ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების მიმართულებით ზიანის ანაზღაურების, ელექტროტექნიკურ აქტივებთან დაკავშირებულ ქონებრივ დავებთან მიმართებაში? გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება.
- ერთ პლატფორმაზე არსებული, კომუნალური მომსახურების შესახებ ინფორმაციის ამსახველი პროდუქტის, \*303#-ის, მომსახურებით სარგებლობთ? გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება.
- \*303#-ის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, როგორ შეაფასებთ მომსახურების ხარისხს?
- როგორ შეაფასებდით \*303#-ის სერვისის პოპულარიზაციას?

## 11

# თვისებრივი კვლევის განხორციელების შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიზნები და ტენდენციები

**ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებისა და კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის დონის თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:**

